პროგრამის Erasmus + შედეგები და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების მაგალითზე)

ანი ბოჭორიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების (უმაღლესი განათლების ადმინისტრირების) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება
(უმაღლესი განათლების ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანი ბოჭორიშვილი /ა. ბოჭორიშვილი/

22/06/2018

აბსტრაქტი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია 21-ე საუკუნეში მიმდინარე გლობალური მოვლენების ბუნებრივი შედეგია. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და კონკურენცია თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეზს განსაზღვრავს ევროპული სივრცისაკენ. გლობალიზაციის ხანაში სასწავლებლებისათვის ახალი ნიშნულები და მიზნები ჩნდება. წლიდან წლამდე იზრდება მობილური სტუდენტების რიცხვი, რომლებიც სასწავლებლად სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტში მიემგზავრებიან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული გაცვლითი პროგრამის Erasmus+ შედეგები როგორც ინდივიდუალურ, ისე ზოგად დონეზე და იკვლიოს, როგორია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა საქართველოს ორ ყველაზე პოპულარულ უმაღლეს სასწავლებელში.

კვლევის შედეგები დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, რომელიც მოიცავს საერთაშორისო გამოცდილების მქონე სტუდენტებთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და პროგრამის კოორდინატორთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს. ასევე, საკვლევ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა სტუდენტთათვის საზღვარგარეთ გამგზავრების 3 მთავარი მოტივატორი, ასევე ის შედეგები, რომლებსაც მობილურმა სტუდენტებმა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიაღწიეს და გამოვლინდა პოსტმობილობის პროცესის ზოგიერთი გამოწვევა. კვლევის შედეგები ნაშრომში ორ დონეზეა განხილული და წარმოდგენილია მათი შედარებითი ანალიზი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, პოსტმობილობის პროცესი, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, Erasmus+.

Abstract

Internationalization of Higher Education is a natural result of the global events happening in the 21st century. Knowledge-Based Economics and competition determines the direction of the modern higher education institutions towards the European space. In the age of globalization new goals and aspirations are found for higher education institutions. From year to year the number of mobile students who are sent to different foreign universities to study is increasing.

The aim of the presented paper is to study the results of one of the popular exchange programs Erasmus+ in Georgia, both at the individual and general level and to find out the internationalization policy types in two popular universities of Georgia.

The results of the study are based on qualitative research methods covering students with international experience an representatives of Ilia State University and Ivane Javakhishvili Tbilisi State University, and in-depth interviews with program coordinator. Also, analysis of documentation related to the topic of study.

As a result of the study 3 main motivators of studying abroad was found. The research also revealed the results which the mobile students reached within the exchange program and some challenges connected with post mobility process. The results of the research are discussed in two levels- individual and general- and their comparative analysis is also presented.

Main key words: internationalization of higher education, post mobility process, Georgian higher education institutions, Erasmus +.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, თამარ ბრეგვაძეს, რომელიც დროულსა და სწორ რეკომენდაციებს მაძლევდა ნაშრომის შინაარსსა და სტრუქტურასთან დაკავშირებით.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ინტერვიუების მონაწილე სტუდენტებს და ორივე უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებიც დამეხმარნენ როგორც რესპონდენტების მოძიებაში, ასევე საჭირო ინფორმაციის მიღებაში. დიდი მადლობა ლიკა ღლონტს, Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის კოორდინატორს.

დიდი მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც მაქსიმალურად მიწყობდნენ ხელს ნაშრომზე მუშაობის პროცესში.